„ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგების და ერუდირებული ახალგაზრდების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“

დადგენილების პროექტი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1:

დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგების და ერუდირებული ახალგაზრდების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების წესი და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემის პირობები **დანართის შესაბამისად.**

მუხლი 2:

1. გუნდურ სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი და სხვა გუნდური სახეობები) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში გამარჯვებულ გუნდზე და მათ მწვრთნელებზე გადასაცემი ფულადი ჯილდოს ოდენობა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე განსაზღვროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ - საკრებულომ განკარგულებით.

მუხლი 3:

1. მუსიკოს-შემსრულებელთა გუნდები/ანსამბლები (ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ვოკალური ანსამბლები და სხვა) და მათი პედაგოგები, რომლებიც გახდნენ ლაურიატები ან/და დაიკავეს საპრიზო ადგილები, გადასაცემი ფულადი ჯილდოს ოდენობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე განსაზღვროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ - საკრებულომ განკარგულებით.

მუხლი 4:

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დანართი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე
მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგების და ერუდირებული ახალგაზრდების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესი

მუხლი 1: საქართველოს ჩემპიონი ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში და ქართულ ჭიდაობაში

1. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და საქართველოს ჩემპიონატზე ოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1500 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1000 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 500 ლარი;

2. სპორტსმენი რომელიც ასპარეზობს უფროს ასაკამდე ჯგუფში (ახალგაზრდები 16 წლიდან 23 წლამდე, ჭაბუკები 18 წლამდე) და საქართველოს ჩემპიონატზე ოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 700 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 500 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 300 ლარი;

3. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და საქართველოს ჩემპიონატზე არაოლიმპიურ სახეობაში დაიკავა პირველი ადგილი ფულადი ჯილდო განისაზღვროს 300 ლარის ოდენობით, ხოლო სპორტსმენი რომელიც ასპარეზობს უფროს ასაკამდე ჯგუფში (ახალგაზრდები 16 წლიდან 23 წლამდე, ჭაბუკები 18 წლამდე) 200 ლარის ოდენობით.

4. სპორტსმენი, რომელიც ქართულ ჭიდაობაში მიიღებს „საქართველოს ფალავანი“-ს ტიტულს ან დაიკავებს საპრიზო ადგილს ფულადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილი - „საქართველოს ფალავანი“ ტიტულის მოპოვების შემთხვევაში 1500 ლარი;

ბ) II ადგილი - 800 ლარი;

გ) III ადგილი - 500 ლარი;

მუხლი 2: ევროპის ჩემპიონი ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობაში

1. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 3000 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 2000 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1000 ლარი;

2. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და ევროპის ჩემპიონატზე არაოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1000 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 700 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 500 ლარი;

3. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროს ასაკამდე ჯგუფში (ახალგაზრდები 16 წლიდან 23 წლამდე, ჭაბუკები 18 წლამდე) და ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 2000 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1500 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1000 ლარი;

4. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროს ასაკამდე ჯგუფში (ახალგაზრდები 16 წლიდან 23 წლამდე, ჭაბუკები 18 წლამდე) და ევროპის ჩემპიონატზე არაოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 500 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 300 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 200 ლარი;

მუხლი 3: მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობაში

1. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 15000 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 10000 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 5000 ლარი;

2. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და მსოფლიო ჩემპიონატზე არაოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1500 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 1000 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 700 ლარი;

3. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროს ასაკამდე ჯგუფში (ახალგაზრდები 16 წლიდან 23 წლამდე, ჭაბუკები 18 წლამდე) და მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 5000 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 3000 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 2000 ლარი;

4. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროს ასაკამდე ჯგუფში (ახალგაზრდები, ჭაბუკები 16 წლის ზევით) და მსოფლიო ჩემპიონატზე არაოლიმპიურ სახეობაში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 700 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 500 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 300 ლარი;

მუხლი 4: მსოფლიო ოლიმპიური თამაშები

1. სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს უფროსი ასაკის ჯგუფში და მსოფლიო ოლიმპიურ თამაშებში დაიკავა საპრიზო ადგილი გადაეცეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 50 000 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 30 000 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 20 000 ლარი;

მუხლი 5: ოლიმპიურ სახეობებში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების წევრებისთვის ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნა

1. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში უფროსი ასაკის ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს ნაკრების წევრებად, წახალისების მიზნით დაენიშნოს ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით

2. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში უფროსი ასაკამდე (ახალგაზრდები 16 წლიდან 23 წლამდე) ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს ნაკრების წევრებად, წახალისების მიზნით დაენიშნოს ყოველთვიური სტიპენდია 150 ლარის ოდენობით

3. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში უფროსი ასაკამდე (ჭაბუკები 18 წლამდე) ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს ნაკრების წევრებად, წახალისების მიზნით დაენიშნოს ყოველთვიური სტიპენდია 100 ლარის ოდენობით

4. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებს უფროსი ასაკის ჯგუფში წახალისების მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 500 ლარის ოდენობით, ხოლო პრიზიორებს 300 ლარის ოდენობით

5. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებს ახალგაზრდების (16 წლიდან 23 წლამდე) ჯგუფში წახალისების მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 300 ლარის ოდენობით, ხოლო პრიზიორებს 200 ლარის ოდენობით

6. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებს ჭაბუკების (18 წლამდე) ჯგუფში წახალისების მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით, ხოლო პრიზიორებს 100 ლარის ოდენობით

7. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებს უფროსი ასაკის ჯგუფში წახალისების მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 700 ლარის ოდენობით, ხოლო პრიზიორებს 500 ლარის ოდენობით

8. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებს ახალგაზრდების (16 წლიდან 23 წლამდე ასაკის) ჯგუფში წახალისების მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 500 ლარის ოდენობით, ხოლო პრიზიორებს 300 ლარის ოდენობით

9. სპორტის სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებს ჭაბუკების (18 წლამდე ასაკის) ჯგუფში წახალისების მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 300 ლარის ოდენობით, ხოლო პრიზიორებს 200 ლარის ოდენობით

მუხლი 6: ჭადრაკის ტურნირების - რეგიონის პირველობაზე და საქართველოს პირველობაზე საპრიზო ადგილზე გასული და თანრიგის მქონე პირების წახალისება

1. ჭადრაკის ტურნირი - „რეგიონის პირველობა“ უფროსი ასაკის ჯგუფში მოასპარეზე პირებს, რომლებმაც დაიკავეს საპრიზო ადგილები, წახალისების მიზნით გადაეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 200 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 150 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 100 ლარი;

2. ჭადრაკის ტურნირი - „რეგიონის პირველობა“ სასკოლო ასაკის ჯგუფში მოასპარეზე მოსწავლეებს, რომლებმაც დაიკავეს საპრიზო ადგილები, წახალისების მიზნით გადაეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 150 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 100 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 70 ლარი;

3. ჭადრაკის ტურნირი - „საქართველოს პირველობა“ სასკოლო ასაკის ჯგუფში მოასპარეზე მოსწავლეებს, რომლებმაც დაიკავეს საპრიზო ადგილები, წახალისების მიზნით გადაეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით;

ა) პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 300 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 200 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 150 ლარი;

4. სასკოლო ასაკის ჯგუფში მოასპარეზე მოსწავლეებს, რომლებმაც მოიპოვეს თანრიგი, წახალისების მიზნით გადაეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით; V თანრიგი - 50 ლარი; IV თანრიგი - 100 ლარი; III თანრიგი - 150 ლარი; II თანრიგი - 200 ლარი და I თანრიგი 300 ლარი.

მუხლი 7: მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენ(ებ)ის მწვრთნელის წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს განსაზღვრა.

1. მწვრთნელებს, რომლის სპორტსმენებმაც წარმატებით იასპარეზეს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მსოფლიოს, ევროპის და სხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე და დაიკავეს საპრიზო ადგილები გადაეცეთ ფულადი ჯილდო სპორტსმენებისთვის განსაზღვრული ფულადი ჯილდოს 30%-ის ოდენობით, ხოლო მსოფლიო ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში სპორტსმენებისთვის განსაზღვრული ფულადი ჯილდოს 50%-ის ოდენობით.

2. ფულადი ჯილდო გადაეცემათ მხოლოდ იმ მწვრთნელებს, რომლებიც სასწავლო-საწვრთნელ საქმიანობას ახორციელებენ ან/და ახორციელებდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ დაწესებულებებში, ან/და რეგისტრირებულები არიან ბორჯომის მუნიციპალიტეტში და რომელთა მიერ მომზადებულმა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა სპორტსმენმა დაიკავეს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიურ და სხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე დადგენილებით განსაზღვრული საპრიზო ადგილები.

3. საქართველოს ჩემპიონატში ერთი მწვრთნელის რამდენიმე სპორტსმენის ან ერთი სპორტსმენის მიერ სპორტის ერთსა და იმავე სახეობაში ერთზე მეტი გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში, მწვრთნელს გადაეცეს ერთი სრული ფულადი ჯილდო და დანარჩენ შემთხვევაში სრული ფულადი ჯილდოს 50%.

4. საქართველოს ჩემპიონატში ან საერთაშორისო ტურნირებში ერთი სპორტსმენის მიერ სპორტის ერთსა და იმავე სახეობაში ერთი ან მეტი პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, სპორტსმენს გადაეცეს ერთი სრული ფულადი ჯილდო და დანარჩენის შემთხვევაში სრული ოდენობის 50%

მუხლი 8: ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა წახალისება

1. მუსიკოს - შემსრულებლებმა, რომლებმაც საქართველოში გამართულ ეროვნულ კონკურსებზე და ფესტივალებზე დაიკავეს საპრიზო ადგილი ან გახდნენ ლაურიატები გადაეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით:

ა) პირველი საპრიზო ადგილის (ლაურიატი) დაკავების შემთხვევაში 300 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 200 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 100 ლარი;

2. მუსიკოს - შემსრულებლებმა, რომლებმაც საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე დაიკავეს საპრიზო ადგილი ან გახდნენ ლაურიატები გადაეცეთ ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით:

ა) პირველი საპრიზო ადგილის (ლაურიატი) დაკავების შემთხვევაში 500 ლარი;

ბ) მეორე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 350 ლარი;

გ) მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში 200 ლარი;

3. საქართველოს მასშტაბით ჩატარებული მუსიკისა და ხელოვნების დარგში კონკურსებისა და ფესტივალების გამარჯვებულს/ლაურიატს წახალისების და ხელშეწყობის მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 100 ლარის ოდენობით.

4. საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებული მუსიკისა და ხელოვნების დარგში კონკურსებისა და ფესტივალების გამარჯვებულს/ლაურიატს წახალისების და ხელშეწყობის მიზნით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია 150 ლარის ოდენობით.

5. საქართველოში ან საზღვარს გარეთ გამართულ ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე მუსიკოს - შემსრულებლების მიერ ერთი ან მეტი პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, მუსიკოს - შემსრულებლებს გადაეცეთ ერთი სრული ფულადი ჯილდო და დანარჩენის შემთხვევაში სრული ოდენობის 50%-ით.

მუხლი 9: ხელოვნების და მუსიკის დარგში მოღვაწე პედაგოგების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს განსაზღვრა.

1. პედაგოგს/ქორეოგრაფს, რომლის მოსწავლეც გახდება/გახდებიან პრიზიორები და ლაურიატები, როგორც საქართველოში გამართულ ასევე საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე, გადაეცეთ ფულადი ჯილდო მონაწილისათვის განსაზღვრული ფულადი ჯილდოს 50%-ის ოდენობით.

2. ფულადი ჯილდო გადაეცემა მხოლოდ იმ პედაგოგებს რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ დაწესებულებებში და რომელთა მიერ მომზადებულმა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა მოსწავლე-ახალგაზრდებმა დაიკავეს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე დადგენილებით განსაზღვრული საპრიზო ადგილები.

3. პედაგოგს/ქორეოგრაფს რომლის მოსწავლემაც დაიკავა ერთზე მეტი საპრიზო ადგილი, გადაეცეს ერთი სრული ფულადი ჯილდო და დანარჩენ შემთხვევაში სრული ფულადი ჯილდოს 50%-ი.

მუხლი 10: ეროვნული ინტელექტუალური ჩემპიონატის „ეტალონი“-ს გამარჯვებულის წახალისება

ეროვნული ინტელექტ - ჩემპიონატის „ეტალონი 2019“-ის ბორჯომის ეტალონ მოსწავლეს მიეცემა სტიპენდია ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით 1 ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 11: სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - „ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება

1. „ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ში სწავლა 100%-ით დაუფინანსდებათ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ შემდეგი კატეგორიის მოსწავლეებს;

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შვილები;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სხვა ტერიტორიული ბრძოლების მონაწილეთა შვილები;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებულ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შვილები;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა შვილები;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან მშობლის შვილები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი);

ვ) დედით ან/და მამით ობოლი ბავშვები (ბავშვის ცოცხალი მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი რეგისტრირებული უნდა იყოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);

2. დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

ა) წერილობითი განცხადება (განმცხადებელი: ერთ-ერთი მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი);

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი, მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი და მოსწავლის რეგისტრაციის ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მშობლების პირადობის მოწმობების ასლები (დედით ან/და მამით ობოლი ბავშვების შემთხვევაში ცოცხალი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი);

დ) ვეტერანის მოწმობის ასლი; (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და სხვა ტერიტორიული ბრძოლების მონაწილეთა შვილებისთვის);

ე) ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი (ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შვილებისთვის);

ვ) შშმ პირის ფორმა №IV-50/4 - სსე აქტის ამონაწერის ასლი (მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა შვილებისთვის);

ზ) ყველა ბავშვის დაბადების მოწმობების ასლები (მრავალშვილიან ოჯახთა შვილებისთვის);

თ) გარდაცვალების მოწმობის ასლი (დედით ან მამით ობოლი ბავშვებისთვის);

მუხლი 12: ფულადი ჯილდოს მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ადმინისტრირება

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგების და ერუდირებული ახალგაზრდების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდო გაიცემა ერთჯერადად, გარდა **საქართველოს ნაკრების წევრების** და ინტელექტ - ჩემპიონატის „ეტალონი“-ში გამარჯვებული ბორჯომის **„ეტალონი მოსწავლისა“.**

2. სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, მოსწავლე - ახალგაზრდების და მათი პედაგოგების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია;

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ჩემპიონატში, ფესტივალებზე და კონკურსებზე საპრიზო ადგილის დაკავების ან გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი, მწვრთნელის/პედაგოგის მითითებით;

დ) პირადი ანგარიში - საბანკო რეკვიზიტები

3. ფულადი ჯილდო გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით პირად საბანკო ანგარიშზე.

5. პროფესიული განათლებისთვის სტიპენდიის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან;

გ) ზოგადი განათლების მიღების ატესტატის ასლი;

დ) სტუდენტის პირადი საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 13: პროგრამის განხორციელება და ადმინისტრირება

1. პროგრამის განხორციელებაზე და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახური.

2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგების და ერუდირებული ახალგაზრდების წახალისება განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), პროგრამის განხორციელებაზე და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 14:

დადგენლიება ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.